

ზოგადი წინადადება

დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ბატონო კობა,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მიმდინარეობს საქმისწარმოება გ. ლ.-ს N1220/21 განცხადებასთან დაკავშირებით, რომლითაც განმცხადებელი ითხოვს ასაკის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის საკითხის შესწავლას.

1. ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებლის მითითებით, კომერციული ბანკებისგან (სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ და სს „საქართველოს ბანკი“) მიიღო უარი „პლანშეტის“ განვადებაზე იმ საფუძველზე, რომ 70 წელს გადაცილებულ პირებზე სესხის გაცემას და განვადებას ეროვნული ბანკი კრძალავს.

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაცია გამოითხოვა საქართველოს ეროვნული ბანკიდან,¹ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიადან“² და სს „საქართველოს ბანკიდან“³.

საქართველოს ეროვნული ბანკის N2-14/600 (12.02.2021) კორესპონდენციით, აპარატს განემარტა, რომ 2020 წლის 15 აპრილიდან ძალაში შევიდა „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 მარტის N#44/04 ბრძანებით დამტკიცებული დებულება, რომლის მიზანია საქართველოს საფინანსო სისტემის სტაბილური და მდგრადი ფუნქციონირების ხელშეწყობა და სესხის გამცემი ორგანიზაციების მიერ ფიზიკური პირების პასუხისმგებლიანი დაკრედიტების უზრუნველყოფა. თუმცა, მითითებული დებულება არ ადგენს და არ განსაზღვრავს სესხის/კრედიტის მიმღები ფიზიკური პირის მინიმალურ და მაქსიმალურ ზღვრულ ასაკს. სესხის გამცემი ორგანიზაციები სესხის/კრედიტის გაცემაზე ან/და მის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებებს იღებენ შიდა პოლიტიკა-პროცედურებით, რომელიც, მათ შორის, ეფუძნება სესხის/კრედიტის მიმღები ფიზიკური პირის რისკიანობის შეფასებას.

¹ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 10 თებერვლის N13-3/1407 წერილი.

² საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 19 თებერვლის N13-3/1806 წერილი.

³ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 19 თებერვლის N13-3/1807 წერილი.

წერილში ხაზი გაესვა, აგრეთვე, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21¹-ე მუხლის მე-4 პუნქტს, რომლის მიხედვითაც, „საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკს უფლება აქვს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი განაცხადოს ანგარიშის გახსნაზე ან მომსახურების გაწევაზე.“

თავის მხრივ, საპასუხო წერილში (OCNL2125205, 03.04.2021) სს „საქართველოს ბანკმა“ მიუთითა ზემოთ ხსენებულ დებულებასა და საკანონმდებლო ნორმაზე და განმარტა, რომ სასესხო პროდუქტებით სარგებლობის შესახებ პირობების დადგენა ხორციელდება ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომლებმაც, შესაძლოა, ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს მომავალში ბანკის წინაშე არსებული ვალდებულების შესრულებაზე, შესაბამისად, ბანკის მიერ დაწესებული ნებისმიერი შეზღუდვა ემსახურება საკრედიტო რისკების მართვის ეფექტურ უზრუნველყოფას და არა მომხმარებელთა რაიმე ნიშნით დისკრიმინაციას. წერილში აღნიშნულია, რომ ბანკის საკრედიტო პროდუქტებით სარგებლობის შესახებ ინფორმაცია (მათ შორის, ასაკობრივი ზღვარი) განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

სახალხო დამცველის აპარატმა აღნიშნული ინფორმაცია გადაამოწმა სს „საქართველოს ბანკის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე, რის შედეგადაც, დადასტურდა, რომ განვადების ერთ-ერთ პირობად განსაზღვრულია ასაკი (20-70 წელი).⁴ მსგავსი პირობაა განსაზღვრული სამომხმარებლო სესხისა და იპოთეკის შემთხვევაშიც (22-70 წელი).⁵

„ვითიბი ბანკი ჯორჯიამ“ კი, სახალხო დამცველის აპარატს განუმარტა (N660, 02.03.2021), რომ ბანკში 2019 წლიდან პროდუქტი „განვადება“ აღარ არსებობს. შესაბამისად, გ. ლ. ფიზიკურად ვერ შეავსებდა განაცხადს „კლანშეტის“ განვადებაზე ვერც ბანკის ფილიალებში და ვერ სავაჭრო ობიექტებში.

სახალხო დამცველის აპარატმა შესაბამისი ინფორმაცია გადაამოწმა სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ ოფიციალურ ვებ-გვერდზეც. მიუხედავად იმისა, რომ პროდუქტი „განვადება“ ხელმისაწვდომ ინფორმაციაში ნამდვილად არ ფიქსირდება, გამოიკვეთა, რომ პროდუქტისთვის „სესხი უძრავი ქონების უზრუნველყოფით“ მსესხებლის მიმართ დადგენილ ძირითად მოთხოვნათა შორისაა ასაკი (20-70 წელი (სესხის ვადის ბოლოსთვის)).⁶

2. სამართლებრივი შეფასება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე

⁴ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < <https://bankofgeorgia.ge/ka/retail/loans/installment> > [18.04.2021].

⁵ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < <https://bankofgeorgia.ge/ka/retail/loans/consumer-loan> >; < <https://bankofgeorgia.ge/ka/retail/loans/ipo-plus> > [18.04.2021].

⁶ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < <https://vtb.ge/ge/individuals/loans/1/samomkhmareblo-seskebi/22/seskhidzravi-qonebis-uzrunvelkopit> > [18.04.2021].

ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელიც შეისწავლის დისკრიმინაციის კონკრეტულ ფაქტებს და გამოსცემს რეკომენდაციებს ან ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას ან პირს უგზავნის ზოგად წინადადებებს დისკრიმინაციის თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. ამავე კანონის მე-3 მუხლის მიხედვით, კანონის მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ყველა ქმედებებზე ყველა სფეროში, თუ ეს ქმედებები არ რეგულირდება სხვა სამართლებრივი აქტით.

კანონის შესაბამისად, სახალხო დამცველი ზოგად წინადადებას გამოსცემს იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს დისკრიმინაციის წახალისებას, უარყოფითი სტერეოტიპების და სტიგმის გაძლიერების ან ისეთი გარემოს შექმნის ხელშეწყობას, რომელმაც, შესაძლოა, მომავალში გამოიწვიოს კონკრეტული ადამიანების თუ ჯგუფების უფლებების შეზღუდვა დისკრიმინაციული საფუძველით.

2.1. ზოგადი კონტექსტი

განსახილველი საკითხი მჭიდროდ უკავშირდება ხანდაზმულთა უფლებრივი მდგომარეობის კუთხით საქართველოში არსებულ მდგომარეობას. სახალხო დამცველი ყოველწლიურად უსვამს ხაზს ამ მიმართულებით ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებსა და პრობლემებს, რომელთა შორის მუდმივად აქტუალურია ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და საცხოვრებელი პირობები, სიღარიბისა და უსახლკარობის საფრთხე, ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის პრობლემა, ადგილობრივ დონეზე ხანდაზმულთა კეთილდღეობაზე ზრუნვის მიზნით გატარებული ღონისძიებების ნაკლებობა და სხვა.⁷

ხანდაზმულებს მნიშვნელოვან გამოწვევებთან უწევთ გამკლავება ღირსეული და ჯანსაღი დაბერების კუთხითაც.⁸ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა ხაზს უსვამს, რომ დაბერებასთან ერთად, ადამიანებს ნაკლებად ან საერთოდ არ მიუწვდებათ ხელი გარკვეულ უფლებებზე, საქონელსა თუ მომსახურებაზე და არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სოციალურ ურთიერთობებსა და აქტივობებში, რომლებიც ხელმისაწვდომია საზოგადოების უმეტესობისთვის.⁹ მსგავსი სოციალური გარიყულობა ზეგავლენას ახდენს ხანდაზმული ადამიანების ცხოვრების ხარისხზე და მნიშვნელოვან შედეგებს წარმოშობს მათი მხრიდან თავიანთი უფლებების რეალიზებაზე. შესაბამისად, გენერალური ასამბლეა სახელმწიფოებს მოუწოდებს, აქტიური ღონისძიებები გაატარონ ხანდაზმულ პირთა უფლებების დასაცავად, რათა მათაც შეძლონ სახელმწიფოს კეთილდღეობასა და განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა და არ მოიაზრებოდნენ დახმარების მიმღებ ბენეფიციარებად, რომლებიც ეკონომიკისა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემებს ტვირთად აწევა.¹⁰

⁷ საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 282.

⁸ იქვე, გვ. 3.

⁹ გაეროს გენერალური ასამბლეის 2018 წლის 17 დეკემბრის 73/143 რეზოლუცია, გვ. 2-3, ხელმისაწვდომია: < <https://undocs.org/A/RES/73/143> > [18.04.2021].

¹⁰ იქვე, გვ. 3.

ხანდაზმულთა უფლებების დაცვის კუთხით, უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს წარმოადგენს ხანდაზმულთა საკითხებზე მსოფლიოს მეორე ასამბლეის პოლიტიკური დეკლარაცია და მადრიდის საერთაშორისო სამოქმედო გეგმა დაბერების შესახებ.¹¹ პოლიტიკური დეკლარაციის პირველი მუხლის მიხედვით, სამოქმედო გეგმა ემსახურება ისეთი კონცეფციის განვითარების ხელშეწყობას, როგორცაა *საზოგადოება ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის*. დასახული მიზნის მისაღწევად, მადრიდის სამოქმედო გეგმა 3 ძირითად მიმართულებას მოიცავს: ხანდაზმულები და განვითარება, ჯანდაცვისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა და ხანდაზმულთა მხარდამჭერი გარემოს ხელშეწყობა და განვითარება. პირველი პრიორიტეტული მიმართულება (ხანდაზმულები და განვითარება) გულისხმობს, რომ ხანდაზმული პირები უნდა წარმოადგენდნენ განვითარების პროცესის სრულყოფილებიან მონაწილეებს და უნდა შეეძლოთ მის შედეგად მიღებული ბენეფიტებით სარგებლობა.¹²

უფროსი თაობისთვის ისეთი გარემოს შექმნის მნიშვნელობას უსვამს ხაზს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციაც, სადაც ხანდაზმულები საზოგადოების სრულფასოვან წევრებად იგრძნობენ თავს. ამ მიზნით, დამკვიდრდა ტერმინი: *აქტიური დაბერება*, რაც ორგანიზაციის განმარტებით, ჯანმრთელობის, მონაწილეობისა და უსაფრთხოების შესაძლებლობების ოპტიმიზაციის პროცესია და მიზნად ისახავს დაბერებისას ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.¹³ სიტყვა „აქტიური“ გულისხმობს სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ, სულიერ და სამოქალაქო საქმეებში მონაწილეობის გაგრძელებას და არა მხოლოდ ფიზიკურად აქტიურად ყოფნის შესაძლებლობას ან შრომით ბაზარში მონაწილეობას.¹⁴

აღსანიშნავია, რომ ხსენებული პრინციპები ეროვნულ დონეზეც არის განმტკიცებული. კერძოდ, „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილების (N5146-III) მიხედვით, კონცეფციის ძირითად მიმართულებებსა და მიზნებს შორისაა ხანდაზმულთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირება და ჩართულობა, ასაკობრივად შეუზღუდავი გარემოს შექმნა.

2.2. არსებული პრაქტიკის მიმართება თანასწორობის პრინციპთან

ზემოთ ხსენებულის ფონზე, როგორც განსახილველი საქმის ფარგლებში გამოვლინდა, სს „საქართველოს ბანკს“ განვადების ერთ-ერთ პირობად განსაზღვრული აქვს ასაკი (20-70 წელი). ამასთან, მსგავსი პირობაა განსაზღვრული სამომხმარებლო სესხისა და იპოთეკის შემთხვევაშიც (22-70 წელი). სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ კი, პროდუქტისთვის „სესხი უძრავი ქონების

¹¹ ხელმისაწვდომია: < <https://www.un.org/esa/socdev/documents/ageing/MIPAA/political-declaration-en.pdf> > [18.04.2021].

¹² მადრიდის საერთაშორისო სამოქმედო გეგმა დაბერების შესახებ, პარ. 16, ხელმისაწვდომია: < <https://www.un.org/esa/socdev/documents/ageing/MIPAA/political-declaration-en.pdf> > [18.04.2021].

¹³ აქტიური დაბერება, პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, გვ. 12, ხელმისაწვდომია: < https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/67215/WHO_NMH_NPH_02.8.pdf;jsessionid=BECC415C333DEB5680F46AE64D9285EA?sequence=1 > [18.04.2021].

¹⁴ იქვე.

უზრუნველყოფით“ მსესხებლის მიმართ ძირითად მოთხოვნათა შორის დადგენილი აქვს ასაკი (20-70 წელი (სესხის ვადის ბოლოსთვის)). ანალოგიური პრაქტიკა გამოიკვეთა სხვა კომერციული ბანკების შემთხვევაშიც: სს „ზირაათ ბანკს“ როგორც იპოთეკური, ისე სამომხმარებლო სესხის ერთ-ერთ პირობად განსაზღვრული აქვს მსესხებლის ასაკი (18-დან 65 წლამდე);¹⁵ სს „ლიბერთი ბანკს“ სამომხმარებლო იპოთეკური სესხის ერთ-ერთ პირობად განსაზღვრული აქვს ასაკი (18-დან 75 წლამდე),¹⁶ სამომხმარებლო სესხზე - 18-დან 70 წლამდე,¹⁷ განვადებაზე კი - 20-დან 70 წლამდე.¹⁸ კომერციული ბანკების ნაწილის ოფიციალურ ვებ-გვერდებზე ასაკობრივი მოთხოვნა მითითებული არ არის, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, აღნიშნული, შესაძლოა, განპირობებული იყოს პროდუქტის შესახებ არასრული ინფორმაციის წარმოდგენით. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ სესხის/კრედიტის გაცემისა და მისი მომსახურების პირობები მხარეთა შორის შეთანხმების საგანია,¹⁹ შესაძლოა, ასაკობრივი მოთხოვნები სწორედ შეთანხმების პროცესში გახდეს ცნობილი.

დაბერების შესახებ მადრიდის საერთაშორისო სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების, მათ შორის, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების რეალიზება არსებითია ინკლუზიური საზოგადოების შენებისთვის, სადაც უზრუნველყოფილია ხანდაზმული პირების სრული და თანასწორი მონაწილეობა.²⁰ ასაკის ნიშნით დისკრიმინაციასთან ბრძოლა და ხანდაზმული ადამიანების ღირსების ხელშეწყობა წარმოადგენს ფუნდამენტურ ფაქტორს იმ პატივისცემის გარანტირებისთვის, რომელსაც ხანდაზმული პირები იმსახურებენ.²¹

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-10 პუნქტის „გ.დ“ ქვეპუნქტის თანახმად, თანაბარი მოპყრობის პრინციპი ვრცელდება, მათ შორის, საჯაროდ ხელმისაწვდომი საქონლისა და მომსახურების მიღებაზე. ევროპის თანასწორობის ორგანოების პრაქტიკა ცხადყოფს, რომ საქონლისა და მომსახურების მიღების სფეროში, დისკრიმინაციული პრაქტიკის ჭრილში, საერთო საკითხს წარმოადგენს ასაკის კრიტერიუმის გამოყენება ფინანსური მომსახურების გაწევისას.²²

¹⁵ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < <https://www.ziraatbank.ge/ka/credit-products1> > [18.04.2021].

¹⁶ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < <https://libertybank.ge/ka/produqtები/chemtvis/sesxebi/ipotekuri-sesxi> > [18.04.2021].

¹⁷ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < <https://libertybank.ge/ka/produqtები/chemtvis/sesxebi/samomxmareblo-sesxi> > [18.04.2021].

¹⁸ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < <https://www.libertybank.ge/ka/produqtები/chemtvis/sesxebi/ganvadeba> > [18.04.2021].

¹⁹ საქართველოს ეროვნული ბანკის 2021 წლის 12 თებერვლის N2-14/600 წერილი.

²⁰ მადრიდის საერთაშორისო სამოქმედო გეგმა დაბერების შესახებ, პარ. 13, ხელმისაწვდომია: < <https://www.un.org/esa/socdev/documents/ageing/MIPAA/political-declaration-en.pdf> > [18.04.2021].

²¹ იქვე.

²² Fighting Discrimination on the Ground of Age, Discussion Paper, EQUINET, 2018, გვ. 32, ხელმისაწვდომია: < https://equineteurope.org/wp-content/uploads/2019/03/Age-Discrimination_updated-electronic.pdf >.

უფროსი მომხმარებლების არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენება ვლინდება, ერთი მხრივ, სხვადასხვა სახის სესხის გაცემაზე უარის თქმაში, ხოლო, მეორე მხრივ მათ მიმართ გამოიყენება უფრო მკაცრი დამატებითი პირობები.²³

თანასწორობის ორგანოების მითითებით,²⁴ კრედიტორი ვალდებულია, მოიპოვოს ინფორმაცია მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობის, მისი შემოსავლისა და ხარჯების შესახებ. ამდენად, გამოკვლეული უნდა იყოს მომხმარებლის ინდივიდუალური მდგომარეობა. შესაბამისად, დაუშვებელია სასესხო განაცხადზე უარის თქმა მხოლოდ ასაკის საფუძველზე.

საქართველოს სახალხო დამცველი ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ სესხის/კრედიტის მიმღები ფიზიკური პირის რისკიანობის შეფასება სესხის/კრედიტის გაცემაზე ან/და მის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მნიშვნელოვან გასათვალისწინებელ ფაქტორს წარმოადგენს და ამ მხრივ, ბანკის წინაშე არსებული ვალდებულების შესრულებაზე ნეგატიური ზეგავლენის შედარებით მაღალი რისკი, შესაძლოა, მათ შორის, განმცხადებლის უფროს ასაკს უკავშირდებოდეს. თუმცა, ევროპის მასშტაბით დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ასაკის კრიტერიუმი უფროსი ასაკის მომხმარებლების შესახებ არსებული ისეთი ვარაუდების საფუძველზე გამოიყენება, რომლებიც, ჩვეულებრივ, არასწორ წარმოდგენებსა და სტერეოტიპებს ეფუძნება.²⁵

ასაკობრივი კრიტერიუმის დისკრიმინაციულობის შეფასებისას, მხედველობაში მიიღება, რომ უნდა არსებობდეს ზუსტი, ახალი და რელევანტური მონაცემები, რომლებიც დაადასტურებს, რომ ასაკი მომეტებულ რისკთან არის დაკავშირებული; აპლიკანტის მდგომარეობა ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს და *შესაძლოა უარი არ უნდა ემყარებოდეს მხოლოდ ასაკს*; დაცული უნდა იყოს პროპორციულობის პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ გამოყენებული უნდა იყოს ნაკლებად მზღუდავი საშუალება, რომელიც მინიმალურ ზეგავლენას მოახდენს თანასწორი მოპყრობის პრინციპზე.²⁶ ინდივიდუალური გარემოებები შესაძლოა იმდენად განსხვავდებოდეს არსებული ტენდენციისგან, რომ ასაკი ინდივიდზე დასკვნის გასაკეთებლად არასწორი ინდიკატორი აღმოჩნდეს.²⁷

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი

²³ იქვე, გვ. 33.

²⁴ იქვე, გვ. 35.

²⁵ იქვე, გვ. 36.

²⁶ იქვე.

²⁷ იხ. მაგალითად, საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია სს „არდის“ გენერალურ დირექტორს, ხელმისაწვდომია: < <https://ombudsman.ge/res/docs/2019091315011977359.pdf> > [18.04.2021].

წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

მოცემულ შემთხვევაში, როგორც განსახილველი საკითხის შესწავლის ფარგლებში გამოვლინდა, საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები მთელი რიგი სასესხო პროდუქტების (სამომხმარებლო სესხი, განვადება, იპოთეკა) გაცემის კრიტერიუმად განსაზღვრავენ ასაკს, რომლის მიღმა, პირს აღნიშნული პროდუქტების გაცემაზე შაბლონურად ეთქმევა უარი. ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში, ასაკი ხდება სესხის ვადის შეზღუდვის საფუძველიც, რაც იმას გულისხმობს, რომ, მაგალითად, თუკი 65 წლის ადამიანს სურს სასესხო მომსახურების მიღება, მას მხოლოდ 5-წლიანი სესხით შეუძლია ისარგებლოს.²⁸ ამდენად, ხანდაზმული ადამიანები (ძირითადად, 70 წელს ზემოთ ასაკის პირები) არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან მათზე ნაკლები ასაკის პირებთან შედარებით, რომლებიც შესაბამისი საბანკო პროდუქტებით სარგებლობენ ან/და შეუძლიათ ისარგებლონ. ამასთან, განსხვავებული მოპყრობის საფუძველად სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილ კორესპონდენციებში აღნიშნულია მხოლოდ ზოგადი მითითება იმის თაობაზე, რომ ბანკის მიერ დაწესებული ნებისმიერი შეზღუდვა ემსახურება საკრედიტო რისკების მართვის ეფექტურ უზრუნველყოფას, რაც ვერ ჩაითვლება სესხის გაცემის მომსახურებაზე წვდომის სრული აკრძალვის გონივრულ გამართლებად.

როგორც უკვე აღნიშნა, მომეტებული რისკი კონკრეტული მყარი მონაცემებით უნდა დასტურდებოდეს და არ უნდა ეფუძნებოდეს, მაგალითად, იმ სტერეოტიპს, რომ საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ, ადამიანები ავტომატურად წყვეტენ შრომით, ეკონომიკურ თუ სხვა საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას. აღსანიშნავია, რომ, ხშირ შემთხვევაში, სესხის მისაღებად პირმა საბანკო დაწესებულებას უნდა წარუდგინოს შემოსავლის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე, აპრობირებულია რისკების შემცირების სხვადასხვა მექანიზმი: თანამსესხებელი, თავდები, უზრუნველყოფის საშუალებები (მათ შორის, უძრავი ქონება) და სხვ.

მსგავს პირობებში, სასესხო პროდუქტებით სარგებლობიდან ხანდაზმული პირების ავტომატური გამორიცხვა მომსახურებით სარგებლობაში მაღალი ინტენსივობის ჩარევას წარმოადგენს. საჯაროდ ხელმისაწვდომ საქონელსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის არარსებობა კი, იწვევს სოციალურ გარიყულობას, რაც ზეგავლენას ახდენს ხანდაზმული ადამიანების ცხოვრების ხარისხზე და მათი უფლებების რეალიზებაზე. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი იქნებოდა ასაკიდან გამომდინარე რისკების განსაკუთრებული მომატების უტყუარი დასაბუთება, აღნიშნული რისკების დაზღვევისთვის გამოყენებული საშუალებები უნდა იყოს აუცილებელი და ნაკლებად მზლუდავი, რაც, მაგალითად შეიძლება გამოიხატოს დამატებითი

²⁸ მაგალითად, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ პროდუქტისთვის „სესხი უძრავი ქონების უზრუნველყოფით“ მსესხებლის მიმართ ძირითად მოთხოვნათა შორის დადგენილი აქვს ასაკი (20-70 წელი (სესხის ვადის ბოლოსთვის)).

პირობების დაწესებაში (მაგალითად, დამატებითი შენატანი), თუმცა, იმ პირობით, რომ მსგავსი სეგმენტაციის გამოყენება უკიდურესად შეზღუდული და მკაფიოდ დასაბუთებულია.²⁹

ამასთან, რისკების დაზღვევის მიზნით განსაზღვრული დამატებითი პირობები იმგვარად არ უნდა ამძიმებდეს პენსიონერთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, როგორც ეს უკანასკნელ წლებში პენსიის გამცემი ბანკის მხრიდან პენსიის დიდი ნაწილის დაკავებით გამოვლინდა. 2019-2020 წლებში სახალხო დამცველმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო საბანკო დაწესებულებების მხრიდან ხანდაზმულ პირთა სახელმწიფო პენსიის დაკავების საკითხს.³⁰ ამ მხრივ, მხედველობაშია მისაღები, რომ ასაკის ნიშნით პენსიის მიზანი არა ხანდაზმულთა ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფა, არამედ უკიდურესი სიღარიბისგან დაცვაა - პენსიის ოდენობა ვერ უზრუნველყოფს ხანდაზმულთა ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, მედიკამენტების შეძენასთან, კვებით მოთხოვნილებებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას.³¹ აღნიშნულის გამო, პენსიის მიმღებთა დიდი რაოდენობა, რომელთათვისაც სახელმწიფო პენსია შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს, პენსიის გამცემ ბანკში (სს „ლიბერთი ბანკი“) სარგებლობს სესხით. საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა საპენსიო ანგარიშიდან იჭრება და მათ, როგორც წესი, თანხა გასაცემი პენსიიდან უკავდებათ, ბოლო წლებში დასაკავებელი თანხის ოდენობა პენსიის 50%-საც კი აღწევდა. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო პენსია საარსებო მინიმუმს მცირედით აღემატება, ბანკის მიერ დაკავებული თანხის შედეგად, პენსიონერის მიერ მიღებული თანხის ოდენობა საარსებო მინიმუმზე გაცილებით ნაკლებს შეადგენდა, რაც კიდევ უფრო მეტად ამძიმებდა პენსიონერთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. როგორც უკვე აღინიშნა, მომსახურებაზე წვდომაზე უართან ერთად, სწორედ მსგავსი მძიმე პირობების დაკისრებითაც ვლინდება უფროსი მომხმარებლების არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენება.

3. დასკვნა

ზემოთ მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, არსებული პრაქტიკის შედეგად, მნიშვნელოვნად მაღალია სესხის საბანკო მომსახურებებზე ხანდაზმული ადამიანების ხელმისაწვდომობაში ჩარევის ხარისხი. მსგავსი პრაქტიკა, სახალხო დამცველის შეფასებით, ამყარებს იმ მცდარ წარმოდგენებს, რომელთა შედეგადაც, საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ, ადამიანებს ერთმევათ შესაძლებლობა, განვითარების პროცესის სრულუფლებიანი მონაწილეები იყვნენ. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უშლის ხანდაზმულთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირებას და ასაკობრივად შეუზღუდავი გარემოს შექმნას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-14¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „დისკრიმინაციის ყველა

²⁹ Fighting Discrimination on the Ground of Age, Discussion Paper, EQUINET, 2018, გვ. 35, ხელმისაწვდომია: <https://equineteurope.org/wp-content/uploads/2019/03/Age-Discrimination_updated-electronic.pdf>.

³⁰ საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 373-374; ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2020, გვ. 20.

³¹ ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2020, გვ. 19.

ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს მიმართავს ზოგადი წინადადებით,

- საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კომერციულ ბანკებს გაუზიაროს წინამდებარე ზოგადი წინადადება და გასცეს სახელმძღვანელო მითითება, რომ საბანკო სერვისების მიწოდების პროცესში არ დაადგინონ ასაკი, როგორც მომსახურების გაწევაზე ერთმნიშვნელოვნად უარის თქმის ან სასესხო პროდუქტების ვადის შეზღუდვის საფუძველი;
- საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კომერციულ ბანკებს მოუწოდოს, რისკების დაზღვევის მიზნით დამატებითი პირობები, აუცილებლობის შემთხვევაში, განსაზღვრონ იმგვარად, რომ აღნიშნული ზეგავლენას არ ახდენდეს ხანდაზმულ პირთა მიერ ფაქტობრივად მისაღები სახელმწიფო პენსიის იმ ოდენობაზე, რაც საარსებო მინიმუმს უტოლდება.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,